ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

სხდომისა

ქ. ხობი

2019 წლის 22 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 22 იანვრის N09/145 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 22 იანვრის N09/145 წერილის განხილვა - „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტში გაპარულია ტექნიკური შეცდომა. წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ზემოაღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა და მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „საოპერაციო (გადაუდებელი გეგმიური ოპერაციები) ქირურგიო, ოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, მხოლოდ პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით (500 ლარი და ზემოთ) (ერთჯერადად)".

გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად კომისია შეიმუშავებს სამუშაო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. მან კომისიას შესთავაზა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც კვარტლების მიხედვით არის გაწერილი. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრას ესწრებოდა 8 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: იურიდიულ საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია